საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ავლაბარი
ს/კ 01.17.01.050.007

გელა ჩიხლაძე  26.12.2023

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ავლაბარში ი.აბულაძის ქუჩაზე(ს/კ #01.17.01.050.007) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის უსაფრთხოების პროექტის, ,,საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება #41“-ის მიხედვით ,,შენობანაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობის საექსპერტო დასკვნა.

შპს ,,ელისი-2015“-ს მოთხოვნით, ჩემს მიერ შესწავლილი იქნა წარმოდგენილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის უსაფრთხოების პროექტი.

შემოწმების მიზანი:

დადგინდეს, ქ. თბილისში, ავლაბარში ი.აბულაძის ქუჩაზე(ს/კ #01.17.01.050.007) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის უსაფრთხოების პროექტის შესაბამისობა, ,,საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება #41“-თან.

საექსპერტოდ, პროექტის ავტორის მიერ წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტაცია:

1. თავფურცელი
2. პროექტის შემადგენლობა
3. გენგეგმა
4. სახანძრო უსაფრთხოების გეგმები
5. ფასადები
6. ჭრილი
7. დეტალები
8. ანალიზების ცხრილები

პროექტის განმარტებიტი ბარათი:

<u>დაგეგმარების საფუძველი და მიზნები</u>

პროექტი მიზნად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაგეგმარებას, თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და „შენობა–ნაგებობისუსაფრთხოებისწესების“ მიხედვით.

<u>მიწის ნაკვეთის მდებარეობა და აღწერა</u>

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისის ისტორიულ ნაწილში, ავლაბრის უბან – გარეთ ავლაბარში (ისნის მუნიციპალიტეტი), რეგულირების ზონაში, რკინიგზასთან, **ი. აბულაძის ქ. (ყოფ. ჩუბინიძის) №8/7.** ტერიტორიაზე არსებული შენობა ჯერ კიდევ მშენებლობის ეტაპზეა.

<u>პროექტის შინაარსობრივი აღწერა</u>

პროექტი წარმოადგენს მრავალბინიან საცხოვრებელს სადაც განთავსდება 8 (რვა) საცხოვრებელი ბინა, 0.00 ნიშნულზე განთავსდება ერთი კომერციული ფართი და ერთი საოფისე. მიწისქვეშა ნიშნულზე (-2.775) მოეწყობა 6(ექვსი) ავტოსადგომი . ასევე პროექტი სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის № 41 დადგენილების მოთხოვნებს.. აღსანიშანვია ასევე ის ფაქტიც, რომ ვითვალისწინებთ

რა არსებულ ისტორიულ ქუჩათა ქსელის სტრუქტურას, ახალი ნაგებობის განთავსება ხდება დანგრეული შენობის კონტურზე გზის მხრიდან, ხოლო ნაკვეთის სიღრმეში და ი.აბულაძის ჩიხის მხარეს ხდება კუთხის სრული ათვისება ხოლო ჩრდილო დასავლეთ ნაწილში შესაძლებელია თბილისური ტიპის შიდა ეზოს მოწყობა.

მომიჯნავე საკადასტრო ერთეულზე შეთანხმებულია 4 სართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ესკიზი– მოცულობით იდენტური, მხოლოდ სიმაღლით ოდნავ დაბალი გამომდინარე ქანობიდან რომელიც ვითარდება დასავლეთის მიმართულებით და სრულიად კანონზომიერად ესადაგება ჩვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის, ასევე . ი. აბულაძის ჩიხის მოპირდაპირე მხარეს წარმოებს მშენებლობა დამტკიცებული პროექტის მიხედვით, რომლის სიმაღლე და მოცულობა ბევრად აღემატება მიმდებარე განაშენიანებას.

<u>პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა</u>

შენობის სტრუქტურას წარმოადგენს საძირკვლის გაძლიერებული ბეტონის ფილაზე დაფუძვნებული სტრუქტურული ჩარჩო, რომელიც შედგება რკინაბეტონის სვეტებისგან, კოჭებისგან და ასევე რკინაბეტონის გაძლიერებული სიხისტის დიაფრაგმებისგან.

<u>დაგეგმარებისთვის გამოყენებული კანობნმდებლობის აღწერა</u>

მარავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტის და საპროექტო მიწის ნაკვეთის დაგეგმარებისთვის გამოყენებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, ტექნიკური რეგლამენტი "შენობა–ნაგებობების უსაფრთხოების წესები"

საექსპერტო დასკვნა მოიცავს:

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება
2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება
3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება
4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება
5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება
6. მისაწვდომობის შეფასება
7. გარე კედლის ღიობებისადმი მოთხოვნების შეფასება
8. სახურავის ანაწყობების შეფასება
9. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება
10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება
11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება
12. განიავების შეფასება

1. **დაკავებულობ(ებ)ის დატვირთვები**

1.1 საპროექტო შენობა +3.50-დან + 9.82-ის ჩათვლით მთლიანად სც-2 (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) დაკავებულობისაა, ხოლო -2.77 მიწისქვეშა სართული სწ-2 (სასაწყობო გუფი). 0.00 ნიშნულზე სვ(სავაჭრო ჯგუფი) და სქ (საქმიანი ჯგუფი) კერძოდ:

1.1.1 -2.77 ნიშნული წარმოადგენს **სწ-2** ჯგუფს(311.3 მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი) 7 დაკავებულობის დატვირთვით (ცხრილი 1004.1.2 მაქსიმალური ფართობის დაშვება თითო თითო დამკავებელზე).

1.1.2 +-0.00 ნიშნული წარმოადგენს **სვ** ჯგუფს (ქვეთავი 309 - სავაჭრო ჯგუფი სვ) 32 და სქ (ქვეთავი 304 - საქმიანი ჯგუფი სქ) 4 დაკავებულობის (ცხრილი 1004.1.2 მაქსიმალური ფართობის დაშვება თითო დამკავებელზე) დატვირთვით.

1.1.3 +3.50-დან + 9.82 ნიშნული წარმოადგენს **სც-2** ჯგუფის(ქვეთავი 310.4საცხოვრებელი ჯგუფი სც-2) მრავალბინიან სახლს თითო სართულზე 36 დაკავებულობის დატვირთვით (ცხრილი 1004.1.2 მაქსიმალური ფართობის დაშვება თითო დამკავებელზე) ასეთი სართულია 3 (სამი).

2 კონსტრუქციის ტიპების შეფასება

2.1 შენობა ნაგებობის კონსტრუქცია შერჩეულია ცხრილი 601-ის (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის) მიხედვით და წარმოადგენს II- B ტიპს, შესაბამისად სრულად აკმაყოფილებს503 ცხრილის (შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი) მოთხოვნებს

3 სიმაღლის, სართულიანობის და ფართობის შეფასება.

3.1 საპროექტო შენობა სრულად აკმაყოფილებს ცხრილი 503-ის (შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი) მოთხოვნებს. კერძოდ:

<u>სიმაღლე</u>

3.1.1 II - B ტიპის კონსტრუქციის დასაშვები სიმაღლე არის 16.80 ხოლო პროექტით კი შემოთავაზებულია 15.5 მ.

<u>სართულიანობა</u>

3.1.2 სწ-2 დაკავებულობით, II - B ტიპის კონსტრუქციის დასაშვები სართულიანობა 503 ცხრილის (შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი) მიხედვით წარმოადგენს 4-ს, ხოლო პროექტით შემოთავაზებულია 1

3.1.3 ს-ქ დაკავებულობით, II - B ტიპის კონსტრუქციის დასაშვები სართულიანობა 503 ცხრილის (შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი) მიხედვით წარმოადგენს 4-ს, ხოლო პროექტით შემოთავაზებულია 1

3.1.4 სვ დაკავებულობით, II - B ტიპის კონსტრუქციის დასაშვები სართულიანობა 503 ცხრილის (შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი) მიხედვით წარმოადგენს 4-ს, ხოლო პროექტით შემოთავაზებულია 1.

3.1.5 სც-2 დაკავებულობით, II - B ტიპის კონსტრუქციის დასაშვები სართულიანობა 503 ცხრილის (შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი) მიხედვით წარმოადგენს 4-ს, ხოლო პროექტით შემოთავაზებულია 3.

<u>ფართობი</u>

3.1.6 -2.77 ნიშნულიზე სწ-2 დაკავებულობით, II – B ტიპის კონსტრუქციის სართულის დასაშვები ფართი 503 ცხრილის (შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი) მიხედვით არის 2420 მ², ხოლო პროექტით შემოთავაზებულია 306.2 მ²

3.1.7 0.00 ნიშნულზე სვ დაკავებულობით, II – B ტიპის კონსტრუქციის სართულის დასაშვები ფართი 503 ცხრილის (შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი) მიხედვით არის 1160, ხოლო პროექტით შემოთავაზებულია 110 მ²

3.1.8 0.00 ნიშნულზე სქ დაკავებულობით, II – B ტიპის კონსტრუქციის სართულის დასაშვები ფართი 503 ცხრილის (შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი) მიხედვით არის 2140, ხოლო პროექტით შემოთავაზებულია 39.5 მ²

3.1.9

3.1.10 +3.50-დან + 9.82*ტიპიურ ნიშნულებზე, სც-2 დაკავებულობით, I – B ტიპის კონსტრუქციის სართულის დასაშვები ფართი 503 ცხრილის (შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი) მიხედვით არის 1490მ², ხოლო პროექტით შემოთავაზებულია* +3.50-დან + 9.82 *ნიშნულის ჩათვლით სართულის ფართი 649.0 მ².*

4 თითოეული სართულიდან გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელების და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება

4.1 გასასვლელის რაოდენობები აკმაყოფილებს 10-ე თავით მოთხოვნილს. კერძოდ:

4.1.1 0.00-დან + 9.82 ნიშნულის ჩათვლით, ცხრილი 1021.2(2)-ის მიხედვით, გასასვლელების მოთხოვნილი რაოდენობა არის 1(ერთი), შესაბამისად პროექტით, ყველა ნიშნულზე გათვალისწინებულია 1(ერთი) გასასვლელი. ასევე შენობიდან გამოსასვლელი ყველა გზაკარი იღება გარეთ.

4.1.1 შენობის ყველა სართულს ემსახურება ერთი, 1708-ე ქვეთავის მიხედვით მოწყობილი საერთო გამოყენების სამგზავრო ლიფტი.

4.2 გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილი აკმაყოფილებს 10-ე თავით მოთხოვნილს. კერძოდ:

4.2.1 -2.77 ნიშნულზე **სწ-2** ჯგუფის დაკავებულობისთვის ცხრილი 1016.2 ის მიხედვით გასასვლელთან მისადგომი დასაშვები სავალი მანძილია 90 მ. პროექტით გათვალისწინებული მაქსიმალური მანძილი არის **14.5 მ.**

4.2.2 **0.00** ნიშნულზე **სვ და სქ** ჯგუფის დაკავებულობისთვის ცხრილი 1016.2 ის მიხედვით გასასვლელთან მისადგომი დასაშვები სავალი მანძილია 60 მ. პროექტით გათვალისწინებული მაქსიმალური მანძილი არის **12 მ.**

4.2.3 +3.50-დან + 9.82 ტიპიურ ნიშნულებზე **სც-2** ჯგუფის დაკავებულობისთვის ცხრილი 1016.2 ის მიხედვით გასასვლელთან მისადგომი დასაშვები სავალი მანძილია 60 მ. პროექტით გათვალისწინებული მაქსიმალური მანძილი არის **18.6 მ.**

4.3 შენობიდან გამოსასვლელი აკმაყოფილებს 10-ე თავის მოთხოვნებს. კერძოდ:

4.3.1 1007.7.1 ქვეთავის მიხედვით, შენობის გამოსასვლელიდან საზოგადოებრივ სივრცემდე გასავლელი არის მისაწვდომი. ასევე შენობიდან გამოსასვლელი ყველა გზა-კარი იღება გასასვლელის მხრიდან.

5 გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება

5.1 გზა-კიბეების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს 10-ე თავით მოთხოვნილს. კერძოდ:

*5.1.1 **-2.77** -დან **+9.80** ნიშნულის ჩათვლით, 1009.4 ქვეთავის მიხედვით, გზა-კიბეების მოთხოვნილი სიგანე არის 0.90 მ, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია 0.95 მ.*

5.2 დერეფნების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს 10-ე თავით მოთხოვნილს. კერძოდ:

*5.2.1 **-2.77** და ნიშნული დაგეგმარებულია დერეფნის გარეშე.*

*5.2.2 **0.00**-დან **+9.80** ნიშნულის ჩათვლით, ცხრილი 1018.2 მიხედვით, დერეფნების მოთხოვნილი სიგანე არის 1.10 მ, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია 1.35 მ.*

5.3 გასასვლელის ყველა გზაკარი აკმაყოფილებს 10-ე თავით მოთხოვნილს. კერძოდ:

*5.3.1 **-2.77** ნიშნულზე, გასასვლელის გზაკარების მოთხოვნილი სიგანე 1008.1.1 ქვეთავის მიხედვით არის 0.82 მ., ხოლო პროექტით გათვალისწინებულია 0.9 მ.*

5.3.2 0.00 მიწისპირა ნიშნულზე, გასასვლელის გზაკარების მოთხოვნილი სიგანე 1008.1.1 ქვეთავის მიხედვით არის 1.00 მ., ხოლო პროექტით გათვალისწინებულია 1.20 მ.

5.3.3 +3.50-დან + 9.82 *ნიშნულის ჩათვლით, გასასვლელის გზაკარების მოთხოვნილი სიგანე 1008.1.1 ქვეთავის მიხედვით არის 0.82 მ., ხოლო პროექტით გათვალისწინებულია 0.9 მ.*

6 მისაწვდომობის შეფასება

6.1 შშმ პირთათვის მისაწვდომობა აკმაყოფილებს 11-ე თავის მინიმალურ მოთხოვნებს. კერძოდ:

6.1.1 შენობის ყველა ნიშნულზე და მის გარეთაც, საკადასტრო ერთეულის ფარგლებში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა,11-ე თავის შესაბამისად.

6.2 შენობის მიწისპირა დონის ყველა გასასვლელი არის მისაწვდომი. კერძოდ:

6.2.1 0.00 ნიშნულზე მოხვედრა დაბრკოლების გარეშეა შესაძლებელი პანდუსის გამოყენებით, ასევე არცერთი კარის ზომა არ არის 82 სმ-ზე ნაკლები.

6.3 მისაწვდომობა უზრუნველყოფილია ავტოსადგომების ნაწილში. კერძოდ:

6.3.1 დაცულია 1106.1 ქვეთავის და შესაბამისი ცხრილის მიხედვით გათვალისწინებული მისაწვდომი ადგილების რაოდენობა 1(ერთი).

6.4 1107.2 ქვეთავის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მარტივად შესაძლებელია საცხოვრებელი ერთეული ICCA117-ის შესაბამის მისაწვდომ ერთეულად, ა ტიპისგან ბ ტიპის ერთეულად მოწყობა. კერძოდ:

6.4.1 არცერთი კარის ზომა არ არის 82 სმ-ზე ნაკლები, ყველას სართულზე გათვალისწინებულია მისაწვდომი ლიფტი.

7 გარე კედლის ღიობებისადმი მოთხოვნების შეფასება

7.1 საპროექტო შენობა 7-ე თავის შესაბამისად, სრულად აკმაყოფილებს გარე კედლის ღიობებისადმი მოთხოვნებს. კერძოდ:

*7.1.1 **4-1** ღერძებში, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი არის **5.8**მ. შესაბამისად, 705.8 ცხრილის მიხედვით, დაუცველი (საშხეფის გარეშე) ღიობის დასაშვები ფართობი შეუზღუდავია , ხოლო პროექტით გათვალისწინებულია დაუცველი (საშხეფის გარეშე) ღიობი **30**%.*

*7.1.2 **ა-ე** ღერძებში, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი არის **6.3** მ. შესაბამისად, 705.8 ცხრილის მიხედვით, დაუცველი (საშხეფის გარეშე) ღიობის დასაშვები ფართობი არის 70%, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია დაუცველი (საშხეფის გარეშე) ღიობი **25**%.*

*7.1.3 **ე-ბ** ღერძებში, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი არის **6.6** მ-ზე მეტი. შესაბამისად, 705.8 ცხრილის მიხედვით, დაუცველი (საშხეფის გარეშე) ღიობის დასაშვები ფართობი არის 45%, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია დაუცველი (საშხეფის გარეშე) ღიობი **6**%.*

*7.1.4 **ბ-ა** ღერძებში, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი არის **9.5** მ-ზე მეტი. შესაბამისად, 705.8 ცხრილის მიხედვით, დაუცველი (საშხეფის გარეშე) ღიობის დასაშვები ფართობი არის შეუზღუდავი, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია დაუცველი (საშხეფის გარეშე) ღიობი **30**%.*

*7.1.5 **1-2** ღერძებში, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი არის **9.2** მ. შესაბამისად, 705.8 ცხრილის მიხედვით, დაუცველი (საშხეფის გარეშე) ღიობის დასაშვები ფართობი არის შეუზღუდავი, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია დაუცველი (საშხეფის გარეშე) ღიობი **21**%.*

*7.1.6 **2-3** ღერძებში, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი არის **4.5** მ. შესაბამისად, 705.8 ცხრილის მიხედვით, დაუცველი (საშხეფის გარეშე) ღიობის დასაშვები ფართობი არის 25%, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია დაუცველი (საშხეფის გარეშე) ღიობი **14**%.*

*7.1.7 **3-4** ღერძებში, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი არის **0.1** მ. შესაბამისად, 705.8 ცხრილის მიხედვით, დაუცველი (საშხეფის გარეშე) ღიობის არის დაუშვებელი, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია დაუცველი (საშხეფის გარეშე) ღიობი **0**%.*

7.1.8

8 სახურავის ანაწყობების შეფასება

8.1 გადახურვის ფილა შეესაბამება1505.1 (სახურავის მინიმალური ბურულების კლასიფიკაცია კონსტრუქციის ტიპებისთვის) ცხრილის მოთხოვნებს. კერძოდ:

8.1.1 პროექტით გათვალისწინებულია რკინაბეტონის კონსტრუქციის მრავალშრიანი ბტყელი გადახურვა (ტერასა), მცირე ქანობით,რომელიც იქნება ესპლუატირებული, ნაწილი გადახურვის იქნება მრავალქანობიანი პროფილირებული თუნუქის ფურცლებით, რომელსაც გააჩნია 1503-ე ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი წყალარინი ღარები და მილები. 705.11 ქვეთავის მიხედვით არ ესაჭიროება პარაპეტი, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია. გადახურვის ფილა არის A კლასის.

9 ლიფტებისადმი მოთხოვნების შეფასება

9.1 ლიფტის შახტის შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი დაცულია მე-7 თავის 713.3-ის მიხედვით, ასევე 713.14.1 ქვეთავის მე-3 გამონაკლისის მიხედვით არ მოეთხოვება ფოიე.

10 ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება

11 *აღნიშნული დაკავებულობებისათვის გარე კედლის მაქსიმალური, მოთხოვნილი ხანძარმედეგობა არის 1 სთ, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია 2სთ*

11.1 საპროექტო ობიექტის ცალკეული დაკავებულობები გამიჯნულია ერთმანეთისაგან შესაბამისი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კედლებით და თარაზული ანაწყობებით 508.4 ცხრილის შესაბამისად.დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა აკმაყოფილებს (საათები) 703-ე ქვეთავის მინიმალურ მოთხოვნებს.

12 ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება

12.1 პროექტში სრულად არის გათვალისწინებული 9-ე თავში თავში მოთხოვნილი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები. კერძოდ:

10.1.1 სწ-2, სვ, სქ და სც-2 დაკავებულობებში გათვალისწინებულია: სახანძრო მილდგარების სისტემები კვამლაღმომჩენი სისტემები,ხელის ცეცხლმაქრები. შესაბამისად სრულიად აკმაყოფილებს ამ თავისმოთხოვნებს.

13 წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

13.1 წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა სრულად შეესაბამება ცხრილი 1602.1-ის მინიმალურ მოთხოვნებს, სვ სქ და სც-2 დაკავებულობებისათვის.

14 განიავების შეფასება

14.1 პროექტში სრულად არის გათვალისწინებული 1203-ე ქვეთავში, განიავებისადმი არსებული მოთხოვნები. კერძოდ:

10.1.2 მთელს ფართზე გათვალისწინებულია ბუნებრივი განიავება 1203.4 (ბუნებრივი განიავება) ქვეთავის შესაბამისად.

შენიშვნა:

შენიშვნა:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

- დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაციის ისეთი კორექტირება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო-კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნათა დაცვით.

- უსაფრთხოების ზომები მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს წესების მე-20 თავის შესაბამისად.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საექსპერტო ანალიზით ერთმნიშვნელოვნად დავადგინე: ქ. თბილისში, ავლაბარში ი.აბულაძის ქუჩაზე(ს/კ #01.17.01.050.007) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის უსაფრთხოების პროექტის, ,,საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება #41“-თან შესაბამისობა. ჩემს მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები, ავტორის მიერ მიღებული იქნა და პროექტში შეტანილია სათანადო შესწორებები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება საფუძვლად დაედოს აღნიშნული პროექტის შემდგომ წარმოებას.

არქიტექტორი

გელა ჩიხლაძე _____ 26.12.2023

სერტიფიკატი

№ 2017-044

გადაეცემა

გელა ჩიხლაძეს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების

„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თ.

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი





საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ბაკალავრის დიპლომი

TSAA № 000307

თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის

ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ი ს

ფაკულტეტის 2007 წლის 24.07 გადაწყვეტილებით,

ჩ ე ლ ა ჩ ი ხ ლ ა ძ ე ს, დაბადებულს

1985 წლის 08.06, მიენიჭა

ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ი ს

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

ბ.ა.

გაცემის თარიღი 2009წ. 04.12

სარეგისტრაციო № 000307

ქ. თბილისი

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

A. KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART

BACHELOR'S DIPLOMA

TSAA № 000307

This is to certify that by the decision of 24.07.2007

of the

A r c h i t e c t u r e faculty

of the A. KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART

Mr./Ms. G e l a C h i x l a d z e

born on 08.06.1985 was awarded Bachelor's Academic Degree

with a Major in the Architecture

Dean of the Faculty

Rector

Seal

ISSUED ON 04.12.2009

City TBILISI

REGISTRATION No. 000307

შ.პ.ს "არქ ლაინ" "ARCH LINE" L.T.D

ქ. თბილისი რ.ურიდიას ქ. №77 Tbilisi r.uridias st. 77 ტელ/TEL : (+995) 557 70 38 21

ქ. თბილისი 27 მარტი 2020 წ.

ც ნ ო ბ ა

ცნობა ეძლევა გელა ჩიხლაძეს პ.ნ 01008024574, მასზედ რომ, იგი 2015 წლის 27 მარტიდან დღემდე მუშაობს შ.პ.ს "არქ ლაინ" -ში (ს.კ. 400141967) არქიტექტორად.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

შ.პ.ს "არქ ლაინ"

დირექტორი: მ. კაჭკამიძე